



კ. ჭავჭავაძე

ერთვედი მთავარებები
კუცკასიონის ეთვის
ბრძანები

საქართველოს აღმდეგი კლუბის მამოდება
თბილისი — 1945

ჩართველი მთავარებელები კავკასიონისათვის ბრძოლაში.

1

ძავკასია, კავკასიონის მწვერვალები დიდიხანია იზიდავენ უცხოელთა ყურადღებას.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში, ცალცალკე, ხოლო უფრო გვიან ათეულობით, ეწვეოდნენ. ხოლმე კავკასიონის მწვერვალებს გერმანელი, იტალიელი, ჭუნგრელი ტურისტები, ალპინისტები, მწვერვალთა „დამპყრობნი“.

ისინი „იპყრობლნენ“ მწვერვალებს, გზადაგზა გულდასმით სწავლობდნენ მთაგრეხილებსა და უღელტეხილებს, სწერდნენ აღტაცებულ წიგნებს კავკასიის მშვენიერებათა და სიმდიდრეთა შესახებ და ამ წიგნებთან ერთად გულმოდგი-

ნეთ და ზუსტად შედგენილ რუკებისა და აღწე-
რილობებს უდგენდნენ სათანადო გენერალურა
შტაბებს.

საბჭოთა ალპინიზმის ოცი წელი არა მარტო
კავკასიონის შესწავლისა და დაუფლებისათვის
ბრძოლის ოცი წელია, არამედ უცხოელ „დამ-
პყრობებთან“ ბრძოლის ოცი წელიცაა.

„გავწმინდოთ კავკასიონის მწვერვალები უც-
ხოელთა ბარათებისაგან“ — ასეთი იყო საბჭო-
თა მთამსვლელების საბრძოლო ლოზუნგი. ეს
არ იყო მარტო სპორტიული ამოცანა — ავსული-
ყავით ყველა იმ მწვერვალებზე სადაც ოდესმე
ასულან სახელმოხვეჭილ „მაღალმთიანეთის ვეფ-
ხვები“ — არამედ ღრმა პატრიოტული მისწრაფე-
ბაც, რომელიც გამოხატავდა უდიდესს სიყვა-
რულს სამშობლოსადმი.

ჩვენ გვინდოდა წაგვეშალა ყოველი ნიშანიც-
კი იმისა, რომ როდესმე, ჩვენზე ადრე ვიღა-
ცას შეუდგამს ფეხი ჩვენი სამშობლო მიწის
ნაკვეთზე, რომ ვიღაცას ჩვენზე ადრე უხილავს
ჩვენი მთების მშვენება და სიღიადე.

ამგვარად ბრძოლა „უცხოელ დამპყრობებთან“
ქართველმა მთამსვლელებმა გაცილებით ადრე



დაიწყეს, ვიდრე გერმანელ დამპურობთა ეჭიდვებოდა
ლი ზრახვები ხორცს შეისხავდნენ. ბიბლიოთეკა

მერცხახერის, შუსტერის, დეშის, ობერშტაინერის და სხვათა ბარათები ეხლა საქართველოს ალპიური კლუბის მუზეუმში ინახება, როგორც საპატიო „ტროფეები“, წინამორბედნი სახელთვანი წითელი არმიის მიერ დიდ სამამულო ომის დროს მოპოვებული დაკლისა.

ეს იყო ჩვენი პირველი შეხვედრა გერმანელ დამპყრობებთან და ამჯერად იგი საბჭოთა მთა-მსვლელების გამარჯვებით დამთავრდა.

1942 წელს, როდესაც გააფრთხებული ფაშისტური ურდოების მღვრივ ტალღა კავკასიონის თეთრთოვლა მწვერვალებს და ყინულოვან უღელტეხილებს მოუახლოვდა, მისასვლელებთან ქედივით ურყევად გადაუდგნენ მათ კავკასიონის დამცველთა რაზმები.

1942 წლის აგვისტოს და სექტემბრის ბრძოლებში კავკასიონის მისასვლელებთან და მთებში მრავალმა მებრძოლმა და მეთაურმა ისახელა თავი. მათ შორის ბევრი იყო მთამსვლელი, მთაში გაწაფული და მთის ბუნების მესაიდუმლე.

ომამდე — ისინი წლობით დადიოდნენ მთაში, სწავლობდნენ მთებს, მთის სასტიკ ბუნებასთან ბრძოლაში იწროობოდნენ, მწვერვალთა დაპყრობა მათ მომავალ ბრძოლებში მტრის დამარცხებას ასწავლიდა.

ჯერ კიდევ ომის დასაწყისში 1941 წლის აპრილისა და მაისის დღეებში თბილისის უნივერსიტეტის კავშირელთა მესვეურობით — ჩაეყარა საფუძველი შესანიშნავ მოძრაობას — გასამხედროებულ ალპინისტურ — კომკავშირული დანაყოფების შექმნას, უმაღლეს სასწავლებლებსა და სარეწაოებში. ეს იყო გამოხატულება საბჭოთა მთამსვლელების ომისათვის მზადყოფისა.

1941 წლის, დიდი სამამულო ომის ბრძოლების პირველი წლის დაძაბულ დღეებში არცერთი წუთით არ შეწყვეტილა საქართველოს მთამსვლელთა მუშაობა. 1941 წლის ზაფხულში, ისევე როგორც გასულ წლებში კავკასიონის ხეობებსა და უღელტეხილებზე მიმღინარეობდა სამთო ვარჯიში, იჭედებოდა და იწრობოდოდა ახალი კადრები.

1941 წლის აგვისტოსა და სექტემბერში — ონის, ამბროლაურის, თელავის, დუშეთის რაიონის წვევამდელმა ახალგაზრდობამ გაიარა საფუძვლიანი სამთო მომზადება. ლევან გოთუას მეთაურობით მათ გადალახეს უღელტეხილები, ავიდნენ მწვერვალ ჭუთხაროზე, სანდრო გვალია მიუძღვოდა მათ მთათუშეთის ბილიკებზე —



პატარა ქაჩუს და გველის მთის მწვერფლებულება
საკენ.

მაგრამ დადგა ისეთი დრო, როდესაც წლების განმავლობაში მიღებული ცოდნა საქმეში, გრძოლაში უნდა შემოწმებულიყო. მტერი მოუახლოვდა კავკასიონს და შეესია კიდევაც მისი ჩრდილოეთის კალთის ხეობებს.

სამშობლომ თოფქვეშ დააყენა მთელი ქვეყანა.

გამარჯვების სურვილმა, სამშობლოსადმი ღრმა სიყვარულმა და მოვალეობის გრძნობაში შეაძლებინა მრავალთ ის, რაც თითქოს აღამიანურ შესაძლებლობის მიღმა იყო.

3

1942 წლის აგვისტოში — საბჭოთა ხალხის დიდი ბელადის თანამებრძოლი, ქართველი ხალხის სასახელო შვილი ამს. ლავრენტი ბერია ჩაუდგა სათავეში კავკასიონის დაცვის საქმეს.

პირველივე დღიდან მისმა გამჭრიახმა შორს-მცვერეტელობამ გაითვალისწინა კავკასიონის ბრძოლებისთვის სამთო ნაწილების საჭიროება. მათთვის, ვისაც ამ დღეებში მიეცა საშუალება ამ დიდ საქმეში წვლილი შეეტანა, დაუკიშყარია შეხვედრები ამს. ლ. ბერიასთან. იქმნებოდა სამთო რაზმები. მოწვეულ იყვნენ მთამსვლელებიც, როგორც მცოდნენი ამ საქმისა. მხედველობაში მიღებული იქმნა ყოველი წვრილმანიც კი.

ამს. ბერიას ყურადღებას არ გამოეპარა არც ერთი დეტალი სამთო საჭურველისა და შემოს-



ვის. მისი მითითებების საფუძველზე — რანდონი 185 გვ. და დამზადდა დიღძალი სამთო ტანსაცმიჭლას და საჭურველი. მან გულდასმით დაათვალიერა ჩვენ მიერ დასამტკიცებლად წარდგენილი სამთო სამოსი და საჭურველი. ყოველ მის შეკითხვაში გამოსჭვიოდა სურვილი, რომ ჩვენი სამთო ჯარი სამაგალითოდ ყოფილიყო ჩაცმული, სამაგალითოდ შეიარაღებული და შეჭურვილი. მას აინტერესებდა, არა მარტო ის, რომ ტანსაცმელი თბილი, გამძლე და მაგარი ყოფილიყო, არამედ ლამაზი და კოხტად შეკერელიც. სექტემბერში შეიქმნა სამთო რაზმები.

მათ გაწათვას და შემდეგ მთაში გასვლას მთამსვლელები ხელმძღვანელობდნენ.

თოფთან ერთად მათ წერაყინი და თოკი წაიღის მთაში.

— ეხლა ეს უვნებელი და მშვიდობიანი ხელ — საწყო — საბრძოლო იარაღად გადაიქცა.

— მთამსვლელები — მებრძოლებად გადაიქცნენ.

— ქელეშბი თნიანი — სტანციონელი ზეინკალი იყო, სანდრო გვალია — სპორტის თსტატი, ილია დიღმელიშვილი — მათემატიკის მასწავლებელი, ლევან ელიავა — ინჟინერი — პილრო-

ტექნიკისი, ნიკო ხიმურაშვილი — გეოლოგი,
არჩილ მაჭავარიანი — იურისტი, გაბრექოსტა
ბექნუ ხერგიანები — სოფლის მუშაქები, შოთა
რევიშვილი — ლიტერატურის მცოდნე, შალვა
ასათიანი — ფიზიულტურის მუშაქი იყო, ვიზი
მელია — ეკონომისტი, ხოლო შავრო მაისურა-
ძე — ქართულ კერამიკის საიდუმლოებას
იკვლევდა—მაგრამ ყველანი მთამსვლელები და
პატრიოტები იყვნენ. მათ უყვარდათ თავისი
საქმე და თავისი სამშობლო ქვეყანა, ქავკასიის
მთები, ქართველი ხალხი, მისი გმირული წარსუ-
ლი და მომავალი.

ისინი სწავლობდნენ მის წარსულს, შრომობ-
დნენ მომავლის საკეთილდღეოთ.

ისინი ჩაუდგნენ სათავეში სამორ რაზმებს,
უმაგალითო გმირობით და თავგანწირებით იბ-
რძოდნენ საყვარელი მთების დასაცავად.

პოდპოლკოვნიკმა გიორგი ნარიძანიძემ სახელი
 გაითქვა როგორც დახელოვნებულმა მზერავ-
 მა და მამაცმა მებრძოლმა. ათასეული, რომელ-
 საც იგი მეთაურობდა მრავალჯერ გასულა
 მტრის ზურგში — კავკასიონის უღელტეხილე-
 ბით და უვალი ბილიკებით. პოდპოლკოვნიკი
 ნარიძანიძე „წითელი ღროშის“ ორდენითაა
 დაჯილდოვებული.

უფროსი ლეიტენანტი შალვა ასათიანი —
 სამთო რაზმის ალპინიზმის უფროსი ინსტრუქ-
 ტორი, რვა თვე იბრძოდა კავკასიის მთებში.
 ებრძოდა მტერს, ებრძოდა ზამთრის სასტიკ
 ბუნებას. ქარბუქსა და ნამქერში მიჰყავდა მას
 დასაზვერავად რაზმი — როცა აღრენილ და
 გაცოფებულ ქარბუქის წინაშე მხოლოდ მისი
 ცოდნა და ნებისყოფა თუ შესძლებდა შებრძო-
 ლებას.



დასავლეთ კავასიონის თოვლეთში ცეკვალები — ბორდა ბილიკები — სურსათი არასდროს, კლებია მოწინავე ხაზს და არც ერთი ღავრილი არ დარჩა დროულად გამოუყვანი — ყოველივე ამას ზელმძღვანელობდა, თვითონ ეწეოდა და სხვას აბედვინებდა უფროსი ლეიტენანტი შალვა ასათიანი.

— 28-ჯერ გაიარა მან თოვლიანი უღელტეხილები: აღანგე, ხიმსა, ნაური, გვაშვითა, დოუ და სხვა მრავალი.

სვანმა მთამსვლელებმა პარტიზანული რაზმი შეჰქმნეს. მიუვალი უღელტეხილები — მათთვის ნაცნობი კარმიდამო იყო. ისინი მოულოდნელად და გაბედულად ესხმოდნენ მტერს. ყინვაში, თოვლსა და ქარბუქში ისინი მიღიოდნენ დაზვერვაზე მტრის ზურგში და მოჰქონდათ მნიშვნელოვანი ცნობები მტრის შესახებ. ნაღმ-სატყორცნებისა და შაშხანების ცეცხლქვეშ ისინი დიდ გულადობას იჩენდნენ.

ს. ს რ. კ-ს სპორტის ოსტატები ბეჭნუ და გაბრიელ ზერგიანები მტრის ურღოებთან ბრძოლაში გამოჩენილ მამაცობიასთვის სარდლობაში უფრეთნად მოვალეობა და ისეულებრივი ა



ორჯერ დაჯილდოვა მედლით „მამაცილებულებისათვის“.

ზემო-სვანეთის მთამსვლელები და მეთხილა-
მურეები, რომლებიც შშვილობიან წლებში თეთ-
ნულდა, სვეტლარსა, ასმაშე და სხვა შწვერ-
ვალებზე ასვლისას და უღელტეხილებზე სა-
თხილამურო ლაშქრობებში იწრთობოდნენ —
აქტიურად მოქმედებდნენ და ეხმარებოდნენ წი-
თელ არმიას — მათვან 20-ზე მეტი მთამსვლე-
ლი, რომელთა შორის არიან გოჯი ჭურებიანი,
კარლო ხერგიანი, მიხეილ ჯაფარიძე, მურზაყან
ჯაფარიძე და სხვა დაჯილდოვებული არიან
მედლებით „საბრძოლო დამსახურებისათვის“,
„მამაცობისათვის“ და „კავკასიის დაცვისა-
თვის“.

უფრ. ლეიტენანტ სანდრო გვალიას ხელ-
მძღვანელობით ფრონტის პირა რაიონებში, ზე-
მო სვანეთში მიმდინარეობდა სათხილამურო
სპორტის ინსტრუქტორთა მზალება, ათასზე მე-
ტი კაცი მოამზადეს შემდეგში ამ ინსტრუქტო-
რებმა.

კავკასიონის დაცვის პირველი დღიდან თავა-
სი მთამსვლური და სათხილამურო გამოცდილე-



ბა, სვანეთის ულელტეხილების ცოდნა/მარტინა/ გვალიამ წითელი არმიის ნაწილებს პირზე და კა

მისი მოლვაწეობა ამ ხანებში მრავალმხრივი იყო. კავკასიონის ქედის უველაზე რთულ და საპასუხისმგებლო რაიონში უხდებოდა მას დაზერვის წარმოება, დაცვითი ნაგებობების მშენებლობის კონსულტაცია და ახალი კადრების მომზადება.

1942 წლის სექტემბერ-ოქტომბერში — უშნის ძირას და გულბას კლდეებზე ჩაატარა მანმეთაურების სამთო მომზადების კურსები, შეადგინა მთავარი კავკასიონის ცენტრალურ ნაწილის გზა-ბილიკების და ულელტეხილების რუკა, ხელმძღვანელობდა საუღელტეხილო გარნიზონებისთვის სპეციალურ დასაშლელ სახლების აგებას და დადგმას.

კავკასიონის ქედის ნაკლებად დასახლებულ, ზამთარში უვალ ადგილებში — მთამსვლელ-მეთხილამურეთა ჯგუფს, საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატის უფროსი ლეიიტენანტის ამხ. სანდრო გვალიას მეთაურობით მიეცა რთული საბრძოლო დავალება.



ჯგუფმა გაპკევეთა ასეულ კილომეტრზეც უჭირა
თოვლის გზა და სასახელოდ შეასრულა და დასრულებულ
ძოლო დავალება, რისთვისაც მთავრობის მიერ
ჯგუფის უფროსი ამხ. გვალია დაჯილდოებულ
იქნა „წითელი ვარსკვლავის“ ორდენით, ხო-
ლო ჯგუფის მონაწილენი უმცროსი ლეიტენან-
ტი, სპორტის ოსტატი ლ. ფანჯავიძე და მეთხე-
ლამურე, ლეიტენანტი ნ. მიქაბერიძე მედლე-
ბით „საბრძოლო დამსახურებისათვის“.

1942 წლის ივნისიდან სანდრო გვალია ხელ-
მძღვანელობს სამთო და სამთო-სათხილამურო
მომზადების ინსპექციას გამანადგურებელ ბა-
ტალიონთა შტაბში. იგი ამზადებს საინსტრუქ-
ტორო კადრებს, იღებს მონაწილეობას აღმო-
სავლეთ კავკასიონის უდელტეხილებზე ზამთ-
რის პირობებში საჭურველისა და იარაღის გა-
დატანაში და სხვა.

სამთო ომის უძნელეს პირობებში იბრძოდნენ
სამთო რაზმების უფროსი ინსტრუქტორები —
უმცრ. ლეიტენანტი ჭ. მაისურაძე, ლეიტენან-
ტები დიმიტრი ჭავაჩაძე, შოთა რევიშვილი,
ვლად. ახობაძე, ერვ. ცატუროვი. უფროსი.
ლეიტენანტი ლევან ელიავა, უფრ. ლეიტენან-



ტი პეტრე მარჩენკო, უფროსი ლეიტენანტი
იოსებ არუთინოვი, ლეიტენანტი ვახტანგ შაბუ-
ნაშვილი, ლეიტენანტი მერაბ გეგეშვილი.

სამთო სათხილამურო ათასეულის ოფიცერთა
შორის იყვნენ მთამსვლელები — უცროსი
ლეიტენანტები გივი მელია, ნიკო ხიმშიაშვილი,
ძიხეილ ერისთავი.

მათი ხელმძღვანელობით და უშუალო მონა-
წილეობით ჩატარდა სამთო რაზმების მზადება,
მათვე მიიღეს მონაწილეობა ბრძოლებში კავ-
კასიონის მისადგომებთან და ჩრდილოეთ კავ-
კასიონის ხეობებში — ხოლო როცა მტერი უკუ-
იქცა გასდიეს მას ჩრდილოეთ კავკასიის ვე-
ლებსა და ყუბანში.

გმირობა და თავგანწირვა გამოიჩინეს მოხევე
ალპინისტებმა, სახელგანთქმული მეგზურისა
და მთამსვლელის იაგორ კაზალიგაშვილის სამმა
ვაება — მთამსვლელებმა — სტეფანე, ალექსი
და ისიდორე კაზალიგაშვილმა.

მრავალი სასახელო და ლირსშესანიშნავი საქ-
მეებითაა სავსე კავკასიონის დაცვის ეპოპეა.

არა მარტო სამთო რაზმების რიგებში, არა-

მეღ ჯარის სხვა სახეობების დანაყოფებით
იძრძოდნენ მთამსვლელები.

თუ უმცროსი ლეიტენანტი პ. სულაქვა-
ლიძე, ლეიტენანტი შოთა ჩევიშვილი, ლეი-
ტენანტი ვლად. ახობაძე, ლეიტენანტი გოგო-
შვილი, კაპიტანი გრ. რამიშვილი თავის ცოდ-
ნას და გამოცდილებას — როგორც მთამსვლე-
ლობის ინსტრუქტორები ახმარებდნენ საერთო
საქმეს, არტილერიისტები — ლეიტენანტი მი-
ტო ობოლაძე, ლეიტენანტი არჩილ კვეზერე-
ლი, კაპიტანი იოსებ გოგიტიძე რომელიც და-
ჯილდოვებულია „წითელი ვარსკვლავის“ ორ-
ლენით, — თავზარდამცემი ცეცხლით ეხმარებო-
დნენ მათ, ქვეითი ჯარის ოფიცირები ლეიტენან-
ტი კოტე ასტახიშვილი, ლეიტენანტი არჩილ
ლუდუაშვილი, მანევრითა და ცეცხლით ხელს
უწყობდნენ.

თელაველი ალპინისტი კაპიტანი არჩილ თვა-
ლიაშვილი ომამდე საქ. პ. ლ. კ. თელავის რაი-
კომის პირველი მდივანი იყო, ფრონტზე —
ნაღმსატყორცნი ბატარეის კომისარი და შემ-
დეგ გაზეთ „სამშობლოს დამცველის“ პასუხის-
მგებელი მდივანი.



ერთერთი ქართული შენაერთის ჩამოყალიბებულია
ბის პირველ დღიდან, როდესაც თერპის ჭავჭავაძე
რებზე ეს შენაერთი პირველად ჩაეპა ბრძო-
ლაში არჩილ თვალიაშვილი ამ შენაერთში იბრ-
ძოდა. მრავალჯერ გამოადგა მას თუშეთის
ქლდეებსა და თოვლიან მწვერვალებზე მიღი-
ბული ცოდნა და გამოცდილება.

იანვრის თოვაში, სიცივესა და ნამქერში არ-
ჩილ თვალიაშვილის დანაყოფმა საპასუხისმგებ-
ლო დავალება მიიღო. დანაყოფი უნდა გადა-
სულიყო გაყინულ ლიმანებზე და ჭაობებზე და
მტრისათვის უკან დასახევი გზა მოეჭრა. მე-
თევზეთა პატარა სოფელი კალაბატკა დიდხანს
დაახსოვდებათ ამ გმირული რეილის მონაწი-
ლეთ. ოლპინისტური ალლო — თოვლისა და ყი-
ნულის ცოდნა იყო საჭირო რომ რამდენიმე
დღის განმავლობაში ადამიანს შესძლებოდა
გააფთრებულ სტიქიასთან შებრძოლება.
არჩილ თვალიაშვილმა სასახელოდ შეასრუ-
ლა ეს დავალება.

არ ყოფილა სახე ჯარისა, რომელმიც ქარ-
თველ მთამსვლელებს არ ჰყავდა თავის წარმო-
მადგენელი. გრ. გიორგობიანი — ქიმიურ დანა-

ყოფს ხელმძღვანელობდა, ცაცა დლონტი (დღული ჯილდოებული მედლით „საბრძოლო ჩატამისამართის ხურებისათვის“), გივი გაბლიანი, ბორის ანთელიძე, — თავის საღასტაქრო ხელოვნებით დაჭრილ მებრძოლებს ეხმარებოდნენ, მაიორი ლ. ჭელიძე დანაყოფის საბრძოლო მომზადებას ხელმძღვანელობდა, ლეიტენანტი ლევან მარუაშვილი — უღელტეხილთა ოლწერას და სამხედრო — გეოგრაფიულ ოლწერილობათა შედგენის საქმეს მესვეურობდა. ლევან არზუმანოვი — კინო აპარატით ხელში მისდევდა ჯარს. მის მიერ გადაღებულ ქრონიკებში აღიბეჭდა კავკასიისათვის ბრძოლის შესანიშნავი ეპიზოდები. ამ საქმისათვის იგი „წითელი ვარსკვლავის“ და „სამამულო ომის“ მეორე ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა.

ყუბანის ჭაობებში — დასტაქრად მუშაობლა
ექიმი თამარ გოთუა — მთამსვლელობაშ ასწავ-
ლა მას გამბედაობა, გააკაუა, შემატა ხასიათის
სიმტკიცე — ამ თვისებებში შეაძლებინეს მას
ცეცხლქვეშ ოპერაციების გაკეთება და ღლე-
ლამის განმავლობაში საოპერაციო მაგიდასთან
დაგომა. ეხლა მან გაღალახა კარპატები და უნგ-

რეთში იბრძვის, თამარ გოთუა სამგზის კორტეჟი
ნოსანია — სამშობლომ ღირსეულად გადაიწყება
მისი სიმტკიცე და შრომისუნარიანობა.

საღლაც, სამამულო ოშის უსასრულო ფრონტის რომელიღაც უბანზე, იბრძვიან მამაცი მთამსვლელები ამირან შალამბერიძე და ტარიელ ელიაშვილი, მათ ირგვლივ გაშლილი ველებია— მაგრამ სამშობლო მთებთან დაბრუნების წყურ- ვილი უნერგავს მათ ბრძოლის უნარს და მტრის განდევნისა და დათრგუნვის სურვილს. იქაც ისინი კავკასიონისათვის იბრძვიან.

როდესაც გერმანელ ურდოთა მღვრიე ტალ-
ღა უკუიქცა კავკასიონიდან, ულელტეხილებსა
და ჩრდილოეთ კავკასიონის ხეობებში მისწყ-
და უკანასკნელი ბრძოლების ხმაური და უჩვე-
ულო სიმშეიდე დამკვიდრდა — მთამსვლელები
ნელნელა ჩამოიკრიფნენ მთებიდან.

ყინვიან დილას თხუთმეტიოდე კაცისაგან
შემდგარი ჯგუფი შეჰქილებოდა თოვლიან
აღმართს.

აი თერთმეტთვე თავშესაჭარი...

აქ სულ ჩამდენიმე ღლის წინათ გააფორმებული ბრძოლა მიღიოდა.



ნელნელა ჯგუფი მიიწევდა წინ და შესძლება შორის იყვნენ გაბრიელ და ბექნუ ზეპიტელი გოგი სულაქველიძე. გერმანელთა კავკასიონიდან განდევნის აღსანიშნავად გადასწყვიტეს მათ ასვლა კავკასიონის უმაღლეს მწვერვალზე. რამდენიმე დღის წინათ აქ გერმანელები იყვნენ.

ბექნუ ხერგიანმა პირველმა დააკლო ხელი თეთროვლა მწვერვალის უბიწო თოვლში უდიერად დასობილ ურჩხულის ნიშნიან დროშას — მოსწყვიტა იგი. ეს იყო არა მარტო მტრის დროშის მოხსნის აქტი — არა მარტო სპორტული ასვლა — ბექნუ ხერგიანი ბევრ-ჯერ სხვა დროსაც ყოფილა აქ. ამ ასვლამ ჯამი მოუყარა მთამსვლელების კავკასიონის დაცვაში მონაწილეობას და ევროპის უმაღლესი მწვერვალიდან მტრის დროშის მოხსნით სამუდამოთ დაამკვიდრა საბჭოთა მთამსვლელების სახელი და გამარჯვება.



ମୁଣ୍ଡ ଏବଂ ମୁଣ୍ଡ ଜୀବିତରେ ଉପରେ କଥାଗତରେ ଯାଇଲେ
ଅନେକବେଳେ କଥାଗତ ଏବଂ ଜୀବିତରେ ଦେଖିଲେ କଥାଗତରେ
ଅନେକବେଳେ କଥାଗତରେ ଜୀବିତରେ ଉପରେ ଯାଇଲେ
ଅନେକବେଳେ 6 କଥାଗତରେ ଜୀବିତରେ ଉପରେ ଯାଇଲେ

6

მაგრამ არა მარტო ბრძოლებში მონაწილეობით ისახელეს თავი მთამსვლელებმა, ზურგში მათ დაიწყეს ძნელი და სასახელო საქმე — ახალი კადრების აღზრდისა — ამ საქმეს ისინი დღესაც განაგრძობენ. საყოველთაო სამხედრო მოშპადების სამთო-მსროლელთა დანაყოფებში დიდი მუშაობა მიმდინარეობდა, მზადდებოდა კადრები ფრონტისათვის. ალპინიზმის ინსტრუქტორებმა ნატა ცნობილაძემ, რომელიც დაჯილდოებულია მედლით „კავკასიის დაცვისათვის“ გიორგი ბაქრაძემ, ოთარ უფარაძემ, ნინო ოსიტაშვილმა, ლევან გოთუამ, ოთარ გიგინეიშვილმა, გენო ჩაიჭერმა, დ. გოზალიშვილმა და სხვებმა ათასობით სამთო მსროლელებს შეასწავლეს მთაში სიარულის და მოქმედების ტენია.

კავკასიონის უძნელეს მწვერვალებზე ალპი-
ნისტ პოდპოლკოვნიკ ს. გელაშვილის ხელ-



მძღვანელობით ჩატარებულმა მუშაობაში უზრუნველყო ფრონტი ზუსტი კარტოგრაფიული მასალით. ამ საქმეში ს. გელაშვილს ეხმარებოდა საქართველოს მთამსვლელთა ორი ჯგუფი — სპორტის ოსტატის დ. წერეთლის და სპორტის დამსახურებულ ოსტატის ალ. ჯაფარიძის ხელმძღვანელობით. ამ ჯგუფებმა, რომელებშიც შედიოდნენ ქ. ონიანი, გ. რაიჭერი, თ. გიგინეიშვილი, ს. ხუციშვილი, ლ. სუჯაშვილი, ს. შხავაცაბაია დიდი დახმარება გაუწიეს პოდპოლკოვნიკ ს. გელაშვილის მებრძოლებს.

მთიანი რაიონების მეტეოროლოგიურ და კლიმატიურ თავისებურებათა შესანიშნავი ცოდნა საშუალებას აძლევდა ამიერ კავკასიის ფრონტის ჰიდრომეტრისამმართველოს უფროს სპეციალისტს, სპორტის ოსტატს ალექსანდრა ჯაფარიძეს წარმატებით შეესრულებინა სარდლობის დავალებანი ავიაციისათვის ამინდის პროგნოზის მიცემის დარგში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ამს. ალექსანდრა ჯაფარიძე დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

მხედვანმა კართველმა მთამსვლელმა ინფი-

ნერმა ირაკლი ლუკაშვილმა, საქართველოს მთავრობა —
თო გზების ენტუზიასტმა — ომის შეჩრდიდა
დიდი მუშაობა გასწია კავკასიონის მთავარი
უღელტეხილების აღწერის საქმეში. ირ. ლუკა-
შვილი დაჯილდოვებულია მედლით „კავკასიის
დაცვისათვის“.

საქართველოს მთამსვლელობის ერთერთი
პიონერთაგანი დოც. ი. ასლანიშვილი თავის
დასტაქრულ გამოცდილებას და ცოდნას მებრ-
ძოლთა განკურვნას ანდომებდა. ომის პერიოდ-
ში მან დასწერა და მოამზადა დასაბეჭდათ
მონოგრაფია მთის ავადმყოფობის შესახებ.

წითელი არმიის სასახელო ოფიცრების სახე-
ლი მოიხვეჭეს თავისი ცოდნითა და შრომით
ლეიტენანტმა დავით ფურცელაძემ, კაპიტანმა
ი. მარრმა, ინჟ-კაპიტანმა — დავით წერეთელ-
მა, ინჟ-კაპიტანმა რ. ჩხეიძემ, ლეიტენანტმა
ალექსი ივანიშვილმა, კოტე ანტახიშვილმა,
გერმან გავაშელმა და სხვა მრავალმა.

ბრძოლებიდან დაბრუნებულებიც შეუერთდ-
ნენ მათ, ამოუდგნენ მხარში და ეხლა, ომში
მიღებულ გამოცდილებასა და ცოდნას უზია-
რებენ ახალგაზრდა მთამსვლელებს.



36136340
3032010033

7

ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულა, მაგრამ უკვე შეიძლება მოეყაროს თავი იმ დიდ გამოცდილებას, რომელიც მიიღეს მთამსვლელებმა კავკასიონისთვის ბრძოლის საქმეში. არც ერთი თითქოს უმნიშვნელო ფაქტიც კი არ უნდა დარჩეს აღუნუსხავი და აღუწერელი. ამ გამოცდილების საფუძველზე უნდა შეივსოს თავები ჯერ დაუწერელი ქართული სამხედრო ალპინიზმის წიგნისა. ყოველი ფაქტი და მაგალითი ამ ბრძოლებისა საქართველოს მთამსვლელობის მატიანეში უნდა შევიდეს. დიდ სამამულო ომის დროინდელი მთასვლური ქრონიკები საფუძვლად დაედება საბჭოთა ალპინიზმის შემდგომ განვითარებას, გამოაჩენს მისთვის ახალ გზებსა და შესაძლებლობებს.

კავკასიონისათვის ბრძოლებში ბევრი ახალი მთამსვლელი აღიზარდა. დღეს ისინი ამზადე-



ბენ რეზერვებს წითელი არმიისათვის — არმიის შემოსის სკირდება სამთო საქმის მცოდნე ოფიცირები, და სერეანტები. — ლეიტენანტები ლეზავა, მიქა-ბერიძე, ფალავა, ხუციშვილი, სერეანტები — ჩხეიძე, ბაბაკიშვილი, შენგელია, გონგლაძე და სხვა მრავალნი სამთო საქმის ნამდვილი ოსტა-ტები და დახელოვნებული ინსტრუქტორები არიან. ისინი დიღი მონდომებით და საქმის სი-ყვარულით ხელმძღვანელობენ სამთო კადრების მომზადების საქმეს.

მათ მიერ მომზადებული მებრძოლები და ოფიცირები დღეს კარპატებსა, ნორვეგიაში და ჰუნგრეთში იბრძვიან — შორეულ და უცნობ მთებში ისინი იბრძვიან აგრეთვე საქართველოს მთების კეთილდღეობისათვის.

გვარდიის ეფრეიტორი აკაკი გერაძე უკრაინის მეორე ფრონტიდან ასე გადმოგვცემს თავის განცდებს —

„საყვარელი მთები აქედან შორს დამრჩა,
მაგრამ მათი სახე ყველგან მელანდება,
ოს, რა ლამაზია მათი მწვანე ფარჩა
და რა უტკბესია დღეს ეს მოგონება.“

ვერ წაგვართვა მტერმა მათი სიყვარული,
რადგან მათ პატრონობს მტკიცე, გმირშ ხარხი
ვერ დაშხამა გველმა მათი სიხარული
და ვერ დააფარა გლოვა-ტანჯვის თალხი.

დღეს უცხო მთებს ვუცქერ და როცა მათ
გავლევ
კვლავ თქვენ გესტუმრებით ჩემო საყვარლებო
თქვენს ლამაზ უბეში სადლეგრძელოს დავლევ
თქვენს ტყბილ სადლეგრძელოს მშობლიურო
მთებო“.

და ეს სიტყვები შეიცავენ განცდას ყველა
ქართველ მთამსვლელებისა, რომლებიც სასახე-
ლოდ იბრძვიან ფრონტზე და შრომობენ ზურგ-
ში ერთი მიზნისთვის — გამარჯვებისა და დიად
საბჭოთა სამშობლოს ბედნიერებისათვის.

ეხმალი . მ . ვ ილატელი

1917 ივნ 1918 ივნ 1919 ივნ 1920 ივნ 1921 ივნ

ათელეიტ მარკეტინგის ინდუსტრიალურ მარკეტინგის
2 ათ ჸ მარკეტ მარკეტის ინდუსტრიალურ მარკეტი



କୁରୁତେଜୁମ୍ବା ପାଦି ବେଳେରି ଏହାରେ କିମ୍ବା
ନିର୍ମାଣ କରିବାକୁ ପରିଚାରି କରିବାକୁ ପାଇଁ ।

ନେତ୍ରବ୍ୟକ୍ତିଗଠନ ପ. ଢ. ହିନ୍ଦୁପାତ୍ର

ხელმოწ. დასახელდად 13/II-45. უმ 01411. შეკ. № 141.
ტირაჟი 1000.

സാമ്പത്തികവൈലാൻ സിര സംബന്ധിച്ചിട്ടു ഗാമിംഗ്പ്രെമ്ലോഡിസ് ശ്രദ്ധയിൽ
സിറ്റിപ്പേരിൽ കമ്മിറ്റിനാൽ, തബിലിസി, എന്റെസിസ് ഫ്. നേ 5.

9560 з 856.



ქართული
ალპიური კლუბი

К. Джавришвили

**ГРУЗИНСКИЕ АЛЬПИНИСТЫ В
БОРЬБЕ ЗА КАВКАЗ.**

Издание Грузинского Альпийского Клуба.

1945



ეროვნული
ბიблиოთეკა საქართველოში